საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1988 2014 წლის 3 ნოემბერი ქ. თბილისი

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსათვის თანხის გამოყოფის შესახებ

1. შპს „თეთნულდი დეველოპმენტის“ მიერ ადმინისტრაციული შენობის მშენებლობასთან დაკავშირებული, აგრეთვე, კომპანია „Pomagalski“-ს მიერ მოწოდებული საბაგიროების სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების წარმოებასთან დაკავშირებული ხარჯების დასაფინანსებლად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, „საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამოუყოს 5 000 000 (ხუთი მილიონი) ლარი, შპს „თეთნულდი დეველოპმენტის“ კაპიტალის გასაზრდელად.

2. შპს ,,თეთნულდი დეველოპმენტმა“ უზრუნველყოს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
№ 8051/01 " 05.11 2014 წ.
2 ფურცელი

სამინისტროსათვის ინფორმაციის მიწოდება გადარიცხული თანხის ხარჯვის შესახებ ან სამინისტროს მოთხოვნის შეთხვევაში.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**